№11/17

17.08.2020წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

შ.პ.ს. „ბმ მარქეთ"-ი (ს/კ 406242338) გეგმავს ქ. თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა №25-ში პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) და პლასტმასის ნაკეთობების (პლასტმასის მილები) საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის 10.3 ქვეპუნქტის თანახმად "ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასაწარი დამუშავებისა" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. ამ კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობისთვის გზშ-მდე ხორციელდება სკრინინგის პროცედურა, გარდა ამ მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომლის შესაბამისად "თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. „ბმ მარქეთ"-ი გეგმავს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, ამიტომ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელსაც წარმოგიდგენთ სკოპინგის დასკვნის გასაცემად (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე).

დანართი:
1. შ.პ.ს. „ბმ მარქეთ"-ის პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) და პლასტმასის ნაკეთობების (პლასტმასის მილები) საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში;
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

მეჰმეთ ემინ ათასოი

შ.პ.ს. „ბმ მარქეთ"-ის დირექტორის მინდობილი პირი

№ 12951
17 08 2020
1/2ED